

## შპს „ჯი-ი-ეს“

### ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

## სარჩევი

|                                                                                              |    |
|----------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით .....                 | 3  |
| სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის .....            | 4  |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის..... | 5  |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.....               | 6  |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....                                          | 7  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                                   | 7  |
| 2. მომზადების საფუძველი.....                                                                 | 7  |
| 3. სააღრიცხვო პოლიტიკა .....                                                                 | 8  |
| 4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ.....        | 13 |
| 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....                                    | 14 |
| 6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....                                              | 14 |
| 7. მარაგები .....                                                                            | 14 |
| 8. ძირითადი საშუალებები.....                                                                 | 15 |
| 9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები .....                                          | 16 |
| 10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი.....                                        | 16 |
| 11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....                                                 | 16 |
| 12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი .....                                                    | 17 |
| 13. სხვა ხარჯები .....                                                                       | 17 |
| 14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები .....                                                    | 17 |
| 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....                                          | 18 |
| 16. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება .....                                                 | 18 |

### ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| (თანხები მოცემულია ლარში)                         | შენიშვნა | 31.12.2022  | 31.12.2021 |
|---------------------------------------------------|----------|-------------|------------|
| აქტივები                                          |          |             |            |
| მოკლევადიანი აქტივები                             |          |             |            |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები | 5        | 60,630      | 169,431    |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები           | 6        | 1,852,753   | 310,116    |
| საგადასახადო აქტივები                             |          | 448,710     | -          |
| მარაგები                                          | 7        | 509,155     | 476,491    |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                        |          | 11,525      | -          |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                         |          | 2,882,773   | 956,038    |
| გრძელვადიანი აქტივები                             |          |             |            |
| ძირითადი საშუალებები                              | 8        | 115,385     | 51,963     |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                        |          | 1,085       | 1,085      |
| სულ გრძელვადიანი აქტივები                         |          | 116,470     | 53,048     |
| მთლიანი აქტივები                                  |          | 2,999,243   | 1,009,086  |
| ვალდებულებები                                     |          |             |            |
| მოკლევადიანი ვალდებულებები                        |          |             |            |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები        | 9        | 4,367,269   | 195,814    |
| საგადასახადო ვალდებულებები                        |          | -           | 12,326     |
| მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი      | 10       | 245,018     | 238,130    |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                    |          | 4,612,287   | 446,270    |
| მთლიანი ვალდებულებები                             |          | 4,612,287   | 446,270    |
| საკუთარი კაპიტალი                                 |          |             |            |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)         |          | (1,613,044) | 562,816    |
| სულ საკუთარი კაპიტალი                             |          | (1,613,044) | 562,816    |
| მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი        |          | 2,999,243   | 1,009,086  |

ნიკოლოზ ჯანგავაძე

დირექტორი

7-18 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

| (თანხები მოცემულია ლარში)             | შენიშვნა | 2022 წელი    | 2021 წელი   |
|---------------------------------------|----------|--------------|-------------|
| ამონაგები                             |          | 9,758,976    | 4,715,091   |
| რეალიზებული საქონლის                  |          |              |             |
| თვითღირებულება                        | 11       | (10,799,551) | (3,819,949) |
| საერთო მოგება                         |          | (1,040,575)  | 895,142     |
| სხვა შემოსავლები                      |          | 48,504       | 14,031      |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი       | 12       | (775,363)    | (581,071)   |
| მიწოდების ხარჯები                     |          | -            | -           |
| სხვა ხარჯები                          | 13       | (63,458)     | (20,718)    |
| მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან - |          |              |             |
| წმინდა                                |          | (21,840)     | (323)       |
| საოპერაციო მოგება                     |          | (1,852,732)  | 307,061     |
| ფინანსური შემოსავალი                  |          | -            | -           |
| ფინანსური ხარჯი                       |          | (12,010)     | (28,202)    |
| მოგება დაბეგვრამდე                    |          | (1,864,742)  | 278,859     |
| მოგების გადასახადი                    |          | (46,450)     | (25,700)    |
| წმინდა მოგება                         |          | (1,911,192)  | 253,159     |

ნიკოლოზ ჯანგაძე  
დირექტორი



7-18 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

| (თანხები მოცემულია ლარში)                    | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება /<br>(დაგროვილი<br>ზარალი) | მთლიანი<br>კაპიტალი |
|----------------------------------------------|-----------------------|----------------------------------------------------|---------------------|
| 2020 წლის 31 დეკემბერი (ადრე<br>წარდგენილი)  | -                     | 326,503                                            | 326,503             |
| წინა პერიოდის შეცდომების გასწორება           |                       | 134,849                                            | 134,849             |
| 2020 წლის 31 დეკემბერი<br>(გადაანგარიშებული) | -                     | 461,352                                            | 461,352             |
| კაპიტალის ზრდა                               |                       |                                                    | -                   |
| კაპიტალის შემცირება                          |                       |                                                    | -                   |
| წმინდა მოგება                                |                       | 253,159                                            | 253,159             |
| გაცემული დივიდენდი                           |                       | (151,695)                                          | (151,695)           |
| 2021 წლის 31 დეკემბერი                       | -                     | 562,816                                            | 562,816             |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა                     |                       |                                                    | -                   |
| საწესდებო კაპიტალის შემცირება                |                       |                                                    | -                   |
| წმინდა მოგება                                |                       | (1,911,192)                                        | (1,911,192)         |
| გაცემული დივიდენდი                           |                       | (264,668)                                          | (264,668)           |
| 2022 წლის 31 დეკემბერი                       | -                     | (1,613,044)                                        | (1,613,044)         |

ნიკოლოზ ჯანგავაძე  
დირექტორი



7-18 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური  
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

| (თანხები მოცემულია ლარში)                                                  | 2022 წელი        | 2021 წელი        |
|----------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                            |                  |                  |
| მომხმარებლებისგან მიღებული თანხები                                         | 13,671,617       | 5,661,105        |
| ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები                                           | 383,211          | 18,519           |
| მომწოდებლებზე გადახდილი თანხები                                            | (11,942,607)     | (4,446,518)      |
| თანამშრომლებზე გადახდილი თანხები                                           | (337,572)        | (417,647)        |
| გადახდილი სხვა გადასახადები                                                | (1,447,923)      | (618,170)        |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                               | (46,450)         | (25,700)         |
| ფულადი სახსრების სხვა გასაღებები                                           | (17,501)         | (19,786)         |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                     | <b>262,775</b>   | <b>151,803</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                          |                  |                  |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                               | (93,704)         | (12,926)         |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                   | <b>(93,704)</b>  | <b>(12,926)</b>  |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                             |                  |                  |
| სასესხო ვალდებულების ზრდა                                                  | 5,419,222        | 885,387          |
| სასესხო ვალდებულებების დაფარვა                                             | (5,412,334)      | (899,620)        |
| გადახდილი პროცენტები                                                       | (12,010)         | (28,202)         |
| გადახდილი დივიდენდები                                                      | (251,436)        | (144,110)        |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                      | <b>(256,558)</b> | <b>(186,545)</b> |
| <b>ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)</b>    | <b>(87,487)</b>  | <b>(47,668)</b>  |
| <b>ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი</b> | <b>169,431</b>   | <b>219,300</b>   |
| <b>გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება</b>                      | <b>(21,314)</b>  | <b>(2,201)</b>   |
| <b>ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი</b> | <b>60,630</b>    | <b>169,431</b>   |

ნიკოლოზ ჯანგავაძე  
დირექტორი



7-18 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი-ი-ეს“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2012 წლის 21 მარტს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან: ლამზირა ჩაჩანიძე 20%, ეკატერინე ჩაჩანიძე 30%, მაკა ჩაჩანიძე 30% და ნიკოლოზ ჯანგავაძე 20%.

შპს „ჯი-ი-ეს“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გაზსადენების და წყალსადენების ქსელის მოწყობა, მშენებლობა და რეაბილიტაცია. კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს ქ., N 37/4, ბ. 34.

კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ნუცუბიძის 82.

### 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიამ 2022 წელი დაასრულა ზარალით, ამასთან კომპანიას გააჩნია უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი და მთლიანი აქტივები ნაკლებია მთლიან ვალდებულებებზე. თუმცა კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას, კომპანიის მფლობელებს აქვთ სურვილი განაგრძონ მისი საქმიანობა. კომპანიას აქვს მიმდინარე პროექტები რომელთა შესრულებას განაგრძობს ვადებში და აქვს მოლოდინი რომ პრობლემა არ შეექმნება ვალდებულებების დაფარვის მიმართულებით.

აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები



გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2023 წლის 31 აგვისტოს.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

#### მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:

| ძირითადი საშუალებების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|-----------------------------|-------------------------------------|
| ნაგებობები                  | 10                                  |
| მანქანა-დანადგარები         | 2-5                                 |
| ოფისის აღჭურვილობა          | 2-5                                 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი     | 5                                   |
| სატრანსპორტო საშუალებები    | 7-8                                 |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის

მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს ხომ არ არსებობს ძირითად საშუალებების გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.



თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

1

#### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

#### იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

### ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს სამშენებლო ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სამშენებლო ხელშეკრულებებიდან ამონაგები აღიარებულია პროცენტული შესრულების მეთოდით, რომელიც თითოეული ხელშეკრულებისთვის განსაზღვრულია მოცემული თარიღისთვის გაწეული სახელშეკრულებო დანახარჯებისა და შეფასებული მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების თანაფარდობით.

თუ შეუძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, სახელშეკრულებო ამონაგები აღიარდება გაწეული სახელშეკრულებო დანახარჯების ოდენობით, რომელთა ანაზღაურებაც სავარაუდოა.

როდესაც სავარაუდოა, რომ მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან სახელშეკრულებო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით.

### სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

### ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

#### *სამუშაო და წარდგენის ვალუტა*

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

#### *ოპერაციები და ნაშთები*

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.



## ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლო მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

| საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი |            |        |
|----------------------------------------------|------------|--------|
|                                              | აშშ დოლარი | ევრო   |
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის             | 2.7020     | 2.8844 |
| კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის             | 3.0976     | 3.5040 |

## მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგრა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანოკმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.



#### 4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

##### ძირითადი საშუალებებისა სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

##### უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

##### ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ექვეყნებინათ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

**5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები**

| (თანხები მოცემულია ლარში)       | 31.12.2022    | 31.12.2021     |
|---------------------------------|---------------|----------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 36,440        | 603            |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 24,030        | 168,828        |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 160           | -              |
| <b>სულ</b>                      | <b>60,630</b> | <b>169,431</b> |

**6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები**

| (თანხები მოცემულია ლარში)                                                    | 31.12.2022       | 31.12.2021     |
|------------------------------------------------------------------------------|------------------|----------------|
| სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო                                                    | 1,323            | 8,066          |
| საგარანტიო პასუხისმგებლობის ფარგლებში დროებით დაკავებული თანხებიდან მოთხოვნა | 1,147,710        | 298,608        |
| გადახდილი ავანსები                                                           | 698,016          | 3,085          |
| მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ                                   | 5,704            | 357            |
| <b>სულ</b>                                                                   | <b>1,852,753</b> | <b>310,116</b> |

საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას (2021 წელს 0 ლარი).

**7. მარაგები**

| (თანხები მოცემულია ლარში) | 31.12.2022     | 31.12.2021     |
|---------------------------|----------------|----------------|
| ნედლეული და მასალები      | 445,226        | 449,444        |
| სათადარიგო ნაწილები       | 2,008          | 10,427         |
| საწვავი                   | 61,921         | 13,445         |
| სხვა მარაგები             | -              | 3,175          |
| <b>სულ</b>                | <b>509,155</b> | <b>476,491</b> |

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 4,725,296 ლარი (2021 წელს 1,909,619 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია (2021 წელს 0 ლარი).

შპს „ჯი-ი-ეს“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

## 8. ძირითადი საშუალებები

| (თანხები მოცემულია ლარში) | ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ      |
|---------------------------|------------|-------------------------|-----------------------|----------------------------|-----------------------------|----------|
| თვითღირებულება            |            |                         |                       |                            |                             |          |
| 31 დეკემბერი 2021         | -          | 64,807                  | 17,386                | 5,548                      | 20,808                      | 108,548  |
| შემოსვლა                  | 9,052      | 65,891                  | 16,178                | 2,584                      | -                           | 93,704   |
| გასვლა                    | -          | (678)                   | (1,043)               | (314)                      | -                           | (2,034)  |
| 31 დეკემბერი 2022         | 9,052      | 130,020                 | 32,520                | 7,818                      | 20,808                      | 200,217  |
| ცვეთა და გაუფასურება      |            |                         |                       |                            |                             |          |
| 31 დეკემბერი 2021         | -          | (38,377)                | (4,963)               | (1,846)                    | (11,399)                    | (56,585) |
| პერიოდის ამორტიზაცია      | (632)      | (18,957)                | (6,590)               | (1,457)                    | (2,352)                     | (29,989) |
| გასვლა                    | -          | 551                     | 911                   | 279                        | -                           | 1,741    |
| 31 დეკემბერი 2022         | (632)      | (56,783)                | (10,642)              | (3,024)                    | (13,752)                    | (84,832) |
| ნეტო საბალანსო ღირებულება |            |                         |                       |                            |                             |          |
| 31 დეკემბერი 2021         | -          | 26,430                  | 12,423                | 3,702                      | 9,408                       | 51,963   |
| 31 დეკემბერი 2022         | 8,419      | 73,237                  | 21,878                | 4,795                      | 7,056                       | 115,385  |



**9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები**

| (თანხები მოცემულია ლარში)                                                  | 31.12.2022       | 31.12.2021     |
|----------------------------------------------------------------------------|------------------|----------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                                                      | 919,539          | 5,961          |
| ქვეკონტრაქტორისთვის საგარანტის პასუხისმგებლობის ფარგლებში დაკავებული თანხა | 236,480          | -              |
| მიღებული ავანსები                                                          | 3,199,955        | 142,160        |
| გადასახდელი ხელფასები                                                      | 5,131            | 47,693         |
| სხვა ვალდებულებები                                                         | 6,164            | -              |
| <b>სულ</b>                                                                 | <b>4,367,269</b> | <b>195,814</b> |

**10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი**

| (თანხები მოცემულია ლარში)                                   | 31.12.2022     | 31.12.2021     |
|-------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები | 200,000        | 191,551        |
| დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები                 | 45,018         | 46,579         |
| <b>სულ</b>                                                  | <b>245,018</b> | <b>238,130</b> |

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები წარმოადგენს ბანკიდან აღებულ სესხებს, რომლებიც დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 12.5 - 15%, სესხების დაფარვის ვადა ნაკლებია 12 თვეზე.

ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია დამფუძნებლების და მათი ოჯახის წევრების უძრავი ქონებით. აგრეთვე დაკავშირებული მხარის მოძრავი ქონებით და თავდებობით.

**ფინანსური დანახარჯები**

| (თანხები მოცემულია ლარში)                                                             | 2022 წელი       | 2021 წელი       |
|---------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი | (12,010)        | (28,202)        |
| <b>სულ ფინანსური დანახარჯები</b>                                                      | <b>(12,010)</b> | <b>(28,202)</b> |

**11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება**

| (თანხები მოცემულია ლარში) | 2022 წელი           | 2021 წელი          |
|---------------------------|---------------------|--------------------|
| გახარჯული მასალები        | (4,678,320)         | (1,885,579)        |
| შრომის ანაზღაურება        | (521,733)           | (607,234)          |
| საპროექტო მომსახურება     | (1,973,857)         | -                  |
| ტექნიკის იჯარა            | (1,531,353)         | (964,218)          |
| ტექნიკის რემონტი          | (141,665)           | (65,783)           |
| სხვა ხარჯები              | (1,952,623)         | (297,135)          |
| <b>სულ</b>                | <b>(10,799,551)</b> | <b>(3,819,949)</b> |

**12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი**

| (თანხები მოცემულია ლარში)         | 2022 წელი        | 2021 წელი        |
|-----------------------------------|------------------|------------------|
| ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება | (504,246)        | (445,127)        |
| დამხმარე მასალები                 | (46,976)         | (24,040)         |
| საიჯარო ქირა                      | (31,987)         | (27,539)         |
| რემონტის ხარჯები                  | (6,627)          | (5,549)          |
| კომუნალური ხარჯები                | (685)            | -                |
| კომუნიკაციის ხარჯები              | (2,097)          | (170)            |
| კომპიუტერის ხარჯები               | (5,272)          | (669)            |
| საკონსულტაციო მომსახურება         | (17,526)         | (149)            |
| გარანტიის მომსახურების საკომისიო  | (67,374)         | (24,297)         |
| ბანკის საკომისიო                  | (8,579)          | (10,075)         |
| ცვეთა და ამორტიზაცია              | (29,989)         | (17,634)         |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები      | (54,005)         | (25,822)         |
| <b>სულ</b>                        | <b>(775,363)</b> | <b>(581,071)</b> |

**13. სხვა ხარჯები**

| (თანხები მოცემულია ლარში)                     | 2022 წელი       | 2021 წელი       |
|-----------------------------------------------|-----------------|-----------------|
| ჯარიმები და სურავები                          | (60,735)        | (658)           |
| ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული ზარალი | (293)           | (4,818)         |
| სხვა არასასაოპერაციო ხარჯები                  | (2,430)         | (15,242)        |
| <b>სულ</b>                                    | <b>(63,458)</b> | <b>(20,718)</b> |

**14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან: ლამზირა ჩაჩანიძე 20%, ეკატერინე ჩაჩანიძე 30%, მაკა ჩაჩანიძე 30%, ნიკოლოზ ჯანგაძე 20%.

ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია დამფუძნებლების და მათი ოჯახის წევრების უძრავი ქონებით, აგრეთვე დაკავშირებული მხარის მოძრავი ქონებით და თავდებობით. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

| (თანხები მოცემულია ლარში)                              | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|--------------------------------------------------------|------------|------------|
| სხვა დაკავშირებული მხარეები                            |            |            |
| მომსახურების მიღება (ტექნიკის იჯარა (შენიშვნა 11))     | 545,847    | 491,578    |
| დაუფარავი ნაშთები (სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 9)) | 244,000    | 82,542     |

## ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სხვა დაკავშირებულ მხარეს აკონტროლებს კომპანიის დამფუძნებლები. დაკავშირებული მხარისაგან ხდება სპეცტექნიკის იჯარით აღება. მომსახურების მიღება ხდება საბაზრო ფასად. დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულების დაფარვის ვადა შეაგდენს მომსახურების გაწევიდან 1 თვეს. ვალდებულება არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

| (თანხები მოცემულია ლარში)              | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|----------------------------------------|------------|------------|
| დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები:    |            |            |
| საწყისი ნაშთი                          | 46,579     | 82,890     |
| პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები | 154,259    | 334,387    |
| პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები | (155,820)  | (370,698)  |
| დარიცხული პროცენტი                     | -          | -          |
| გადახდილი პროცენტი                     | -          | -          |
| სულ მიღებული სესხები:                  | 45,018     | 46,579     |

კომპანიას დამფუძნებლებისგან მიღებული აქვს სესხი. სესხი დენომინირებულია ლარში და არ ერიცხება პროცენტი. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

| დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება |           |           |
|-----------------------------------------------------------------------|-----------|-----------|
| (თანხები მოცემულია ლარში)                                             | 2022 წელი | 2021 წელი |
| შრომის ანაზღაურება მთლიანად                                           | 126,550   | 79,152    |
| სულ                                                                   | 126,550   | 79,152    |

## 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

## 16. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ, კომპანიამ აღმოაჩინა სააღრიცხვო შეცდომები. შეცდომების გასწორება მოხდა რეტროსპექტულად, აღნიშნულის გამო 2021 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგება გაიზარდა 134,849 ლარით.